

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>2004 წლის 31 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/23/EC დირექტივა, რომელიც ადგენს ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების დონაციის, დონორებისაგან მიღების, ტესტირების, დამუშავების, კონსერვაციის, შენახვისა და განაწილების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებს</p>	<p>საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:</p> <p>№1. „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>№2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>№3. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>№4. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>№5. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>№6. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>№7. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>№8. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>№9. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>№10. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.</p> <p>შესაბამისობა: სშ - სრულად შესაბამისი ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი შ - შეუსაბამო ას - არასავალდებულო</p>
--	---

1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	წინამდებარე დირექტივა ადგენს ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილი ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების ხარისხისა და უვნებლობის სტანდარტებს, ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.	№1	1.2	2. ეს კანონი ადგენს მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის, აგრეთვე მის ფარგლებში გამოყენებული ადამიანის რეპროდუქციული ქსოვილების, უჯრედებისა (გამეტებისა) და ემბრიონების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.	სშ	
2	1. წინამდებარე დირექტივა გავრცელდება ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილი ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედებისა და ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილი ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედებისგან წარმოებული პროდუქტების დონაციაზე, მოპოვებაზე, ტესტირებაზე, გადამუშავებაზე, პრეზერვაციაზე (კონსერვაციაზე), შენახვასა და დისტრიბუციაზე.	№1	1.1	1. ეს კანონი არეგულირებს მედიცინის დახმარებით რეპროდუქციასთან დაკავშირებულ საქმიანობებთან, მეთოდებთან, პროცედურებთან, პირობებთან და ვადებთან, აგრეთვე დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ტიპებთან, სამედიცინო ტექნოლოგიების დახმარებით რეპროდუქციის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის უფლებასთან და მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის სფეროში არსებულ სხვა სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს.	წშ	2004/23/EC დირექტივის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში,

	<p>როდესაც ასეთი წარმოებული პროდუქტები დაფარულია სხვა დირექტივებით, წინამდებარე დირექტივა გავრცელდება მხოლოდ დონაციაზე, მოპოვებასა და ტესტირებაზე.</p> <p>2. წინამდებარე დირექტივა არ გავრცელდება:</p> <p>(a) იმავე ქირურგიული პროცედურის ფარგლებში ავტოლოგიურ ტრანსპლანტად გამოყენებულ ქსოვილებსა და უჯრედებზე;</p> <p>(b) სისხლსა და სისხლის კომპონენტებზე, როგორც აღნიშნული განმარტებულია 2002/98/EC დირექტივით;</p> <p>(c) ორგანოებზე ან ორგანოთა ნაწილებზე, თუ მათი ფუნქციაა ადამიანის სხეულში იმავე მიზნით გამოყენება, რა მიზნითაც მთლიანი ორგანო გამოიყენება.</p>	<p>№1</p> <p>№1</p> <p>№1</p>	<p>1.4</p> <p>4.1</p> <p>39.2. „ლ“</p>	<p>4. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ჯანმრთელობის დაცვის იმ დაწესებულებებსა და პერსონალზე, რომლებიც მონაწილეობენ რეპროდუქციის მიზნით სამედიცინო ტექნოლოგიების დახმარებით გამოყენებით განხორციელებულ საქმიანობებში.</p> <p>1. მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის სახეებია: პოტენციური მშობლის/მშობლების, დონორების, გესტაციური სუროგატის ტესტირება, შერჩევა, მათი (გარდა გესტაციური სუროგატისა) რეპროდუქციული უჯრედების დონაცია, მოპოვება, ტესტირება, დამუშავება, ემბრიონის შექმნა, ინ ვიტრო პირობებში კულტივაცია, ბიოფსია, გენეტიკური ტესტირება, გენეტიკური უჯრედის ან/და ემბრიონის კრიოპრეზერვაცია, შენახვა, განაწილება, სპერმის ტესტირება, დამუშავება და განაწილება, ქალის (მათ შორის, გესტაციური სუროგატის) ორგანიზმში გადატანა დაუყოვნებლივ ან სამომავლოდ ორსულობის მიღების მიზნით. მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობის სხვა სახეებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.</p> <p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:</p>	<p>რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p> <p>ამასთანავე, კანონპროექტი ითვალისწინებს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემის შესაძლებლობას, რომელიც განსაზღვრავს მედიცინის დახმარებით რეპროდუქციასთან დაკავშირებული საქმიანობის სხვა სახეებს, რომელიც შესაძლოა შემხებლობაში იყოს 2004/23/EC დირექტივის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობებთან.</p>
--	--	-------------------------------	--	---	--

		№1	39.3	<p>ლ) ამ კანონის ამოქმედებისათვის საჭირო სხვა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.</p> <p>3. საქართველოს მთავრობამ, სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.</p>		
3	<p>წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის:</p> <p>(a) „უჯრედები“ ნიშნავს ადამიანის ინდივიდუალურ უჯრედებს ან ადამიანის უჯრედების ერთობლიობას, როდესაც ისინი არ არის დაკავშირებული რაიმე შემაერთებელი ქსოვილით;</p> <p>(b) „ქსოვილი“ ნიშნავს ადამიანის სხეულის უჯრედებით ფორმირებულ ყველა შემადგენელ ნაწილს;</p> <p>(c) „დონორი“ ნიშნავს ადამიანის უჯრედების ან ქსოვილების ყველა ადამიანურ წყაროს, სიცოცხლის განმავლობაში თუ გარდაცვალების შემდეგ;</p> <p>(d) „დონაცია“ ნიშნავს ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილი ადამიანის ქსოვილების ან უჯრედების დონაციას;</p> <p>(e) „ორგანო“ ნიშნავს ადამიანის სხეულის დიფერენცირებულ და სასიცოცხლოდ</p>	№1	3.1. „ვ“	<p>1. ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ვ) უჯრედი - ადამიანის ცალკეული უჯრედი ან ადამიანის უჯრედების ერთობლიობა, როდესაც ისინი არ არიან დაკავშირებული რაიმე შემაერთებელი ქსოვილით;</p>	წმ	<p>2004/23/EC დირექტივის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ტერმინები „ორგანო“, „ადამიანის მიმართ გამოყენება“, „ალოგენური გამოყენება“ და „ავტოლოგიური გამოყენება“ ასახული იქნება „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ და „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონების პროექტებში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
		№1	3.1. „თ“- „კ“	<p>1. ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>თ) ქსოვილი - ადამიანის სხეულის უჯრედებით ფორმირებული ყველა შემადგენელი ნაწილი;</p> <p>ი) დონორი - ადამიანის რეპროდუქციული უჯრედების ან ქსოვილის ან ემბრიონის წყარო. დონორად არ მიიჩნევა ის ქალი ან მამაკაცი, რომელიც გასცემს რეპროდუქციულ უჯრედებს, რათა ისინი გამოყენებულნი იქნენ მდრ-ის პროცესში მისივე გამრავლების მიზნით;</p>		

<p>მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ფორმირებულია განსხვავებული ქსოვილების საშუალებით, ინარჩუნებს რა საკუთარ სტრუქტურას, ვასკულარიზაციასა და უნარს, განავითაროს ფიზიოლოგიური ფუნქციები მნიშვნელოვანი ავტონომიით;</p> <p>(f) „მოპოვება“ ნიშნავს პროცესს, რომლის საშუალებითაც ქსოვილები და უჯრედები ხელმისაწვდომი ხდება;</p> <p>(g) „გადამუშავება“ ნიშნავს ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილი ქსოვილებისა ან უჯრედების მომზადებაში, მანიპულაციაში, პრეზერვაციასა (კონსერვაციასა) და შეფუთვაში არსებულ ყველა მოქმედებას;</p> <p>(h) „პრეზერვაცია (კონსერვაცია)“ ნიშნავს ქიმიური ნივთიერებების, გარემო პირობებში ცვლილებების ან სხვა მეთოდების გამოყენებას გადამუშავების დროს, უჯრედების ან ქსოვილების ბიოლოგიური ან ფიზიკური მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად ან შესანელებლად;</p> <p>(i) „კარანტინი“ ნიშნავს დაბრუნებული ქსოვილის ან უჯრედების ან ფიზიკურად ან სხვა ეფექტური საშუალებით იზოლირებული ქსოვილის სტატუსს, მათი</p>	<p>№1</p>	<p>3.1. „ჟ“ - „ყ“</p>	<p>კ) დონაცია - ადამიანის ქსოვილების, უჯრედების ან ემბრიონების გაცემა მდრ-თან დაკავშირებულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით;</p> <p>1. ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ჟ) მოპოვება - პროცესი, რომლითაც ქსოვილი ან უჯრედი ხელმისაწვდომი ხდება;</p> <p>რ) დამუშავება - ყველა ოპერაცია, რომელიც მოიცავს მდრ-თან დაკავშირებულ საქმიანობაში გამოსაყენებლად განკუთვნილი ქსოვილების ან უჯრედების მომზადებას, მანიპულირებას, პრეზერვაციასა და შეფუთვას;</p> <p>ს) პრეზერვაცია - ქიმიური ნივთიერებების გამოყენება, გარემო პირობების შეცვლა ან სხვა საშუალებების გამოყენება დამუშავების დროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან შენელებული ქსოვილების ან უჯრედების ბიოლოგიური ან ფიზიკური მდგომარეობის გაუარესება;</p> <p>ტ) კარანტინი - ამოღებული ქსოვილების ან უჯრედების ფიზიკური ან სხვა ეფექტური მეთოდებით იზოლაცია მათი გამოყენების ან განადგურების (წუნდების) თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე;</p>		
--	-----------	-----------------------	---	--	--

<p>მიღების ან უარყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე;</p> <p>(j) „შენახვა“ ნიშნავს პროდუქტის შენარჩუნებას შესაბამისი კონტროლირებული პირობების ქვეშ დისტრიბუციამდე;</p> <p>(k) „დისტრიბუცია“ ნიშნავს ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილი ქსოვილების ან უჯრედების ტრანსპორტირებასა და ჩაბარებას (მიტანას);</p> <p>(l) „ადამიანის მიმართ გამოყენება“ ნიშნავს ქსოვილების ან უჯრედების გამოყენებას ადამიანი რეციპიენტის მიმართ ან რეციპიენტში და [ასევე] ექსტრაკორპორულ გამოყენებს;</p> <p>(m) „სერიოზული უარყოფითი მოვლენა“ ნიშნავს ნებისმიერ არასასურველ შემთხვევას, რომელიც დაკავშირებულია ქსოვილებისა და უჯრედების მოპოვებასთან, ტესტირებასთან, გადამუშავებასთან, შენახვასა და დისტრიბუციასთან, რომელსაც შესაძლებელია პაციენტებისათვის მოჰყვეს გადამტანი დაავადების გადაცემა, სიკვდილი ან სიცოცხლისათვის საშიში, შესაძლებლობის ან ქმედუნარიანობის შემზღვეველი გარემოებები ან რომელსაც შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს</p>		<p>უ) შენახვა - პროდუქტის შესაბამის კონტროლირებულ პირობებში დაყოვნება, მათ განაწილებამდე;</p> <p>ფ) განაწილება - ქსოვილების ან უჯრედების ტრანსპორტირება და ჩაბარება (მიტანა) მდრ-თან დაკავშირებულ საქმიანობებში მათი გამოყენების მიზნით;</p> <p>ქ) სერიოზული გვერდითი მოვლენა - ქსოვილებისა და უჯრედების მოპოვებასთან, ტესტირებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და განაწილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი არასასურველი და მოულოდნელი ვითარება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადამდები დაავადების გადაცემა, სიკვდილი ან სიცოცხლისათვის საშიში, შესაძლებლობის ან ქმედუნარიანობის შემზღვეველი გარემოებები ან რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ჰოსპიტალიზაცია ან ავადობა ან მათი გახანგრძლივება;</p> <p>ღ) სერიოზული გვერდითი რეაქცია - ცოცხალი დონორის ან რეციპიენტის მხრიდან გაუთვალისწინებელი რეაქცია, მათ შორის, გადამდები დაავადების აღმოცენება, რომელიც დაკავშირებულია ქსოვილებისა და უჯრედების მოპოვებასთან ან ადამიანისთვის გამოყენებასთან, რომელიც არის ფატალური, სიცოცხლისათვის საშიში, შესაძლებლობის ან ქმედუნარიანობის შემზღვეველი ან რომელსაც შედეგად</p>	
---	--	--	--

<p>ჰოსპიტალიზაცია ან ავადობა ან მათი გახანგრძლივება;</p> <p>(n) “სერიოზული უარყოფითი რეაქცია“ ნიშნავს უნებლიე (განუზრახველ) რეაქციას, მათ შორის გადამტან დაავადებას, დონორში ან რეციპიენტში, რომელიც დაკავშირებულია ქსოვილების ან უჯრედების მოპოვებასთან ან ადამიანის მიმართ გამოყენებასთან, რომელიც არის ფატალური, სიცოცხლისათვის საშიში, შესაძლებლობის ან ქმედუნარიანობის შემზღვეველი ან რომელსაც შედეგად მოჰყვება ჰოსპიტალიზაცია ან ავადობა ან მათი გახანგრძლივება;</p> <p>(o) „ქსოვილის დაწესებულება“ ნიშნავს ქსოვილის ბანკს ან საავადმყოფოს ერთეულს ან სხვა ორგანოს, სადაც ხორციელდება ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გადამუშავების, პრეზერვაციის (კონსერვაციის), შენახვის ან დისტრიბუციის მოქმედებები. დაწესებულება ასევე შესაძლებელია იყოს პასუხისმგებელი ქსოვილებისა და უჯრედების მოპოვებაზე ან ტესტირებაზე;</p> <p>(p) „ალოგენური გამოყენება“ ნიშნავს უჯრედების ან ქსოვილების ამოღებას ერთი პირისგან და მათ გამოყენებას სხვა პირის მიმართ;</p>		<p>მოჰყვება ჰოსპიტალიზაცია ან ავადობა ან მათი გახანგრძლივება;</p> <p>ყ) მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულება - სამედიცინო დაწესებულება ან სამედიცინო დაწესებულების ერთეული, სადაც ხორციელდება მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობა და შესაბამისი პროცედურები. მან აგრეთვე შეიძლება განახორციელოს რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილების ან ემბრიონების მოთავსება რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილების და ემბრიონების საცავში (შენახვა) და დონორის ტესტირება;</p>		
---	--	--	--	--

	(d) „ავტოლოგიური გამოყენება“ ნიშნავს უჯრედების ან ქსოვილების ერთი და იმავე პირისგან ამოღებასა და მის მიმართვე გამოყენებას.					
4	1. წვერი ქვეყნები დაასახელებენ წინამდებარე დირექტივის მოთხოვნების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოს ან ორგანოებს.	№1	3.1. „3 ² “	1. ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: 3 ²) კომპეტენტური უწყება - შესაბამისი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოს მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობების მონიტორინგი და მათზე ზედამხედველობა და პასუხისმგებელია ამ კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დაცვისთვის;	ნშ	2004/23/EC დირექტივის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).
		№1	33	1. კომპეტენტური უწყება ყალიბდება სამინისტროს სისტემაში, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობების მონიტორინგსა და მათზე ზედამხედველობას და პასუხისმგებელია		

			<p>ამ კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა დაცვისთვის.</p> <p>2. კომპეტენტური უწყების ფუნქციებია:</p> <p>ა) ამ კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულების უზრუნველყოფა;</p> <p>ბ) მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობების ერთიანი ეროვნული რეესტრის დაფუძნება და წარმოება;</p> <p>გ) სერიოზული გვერდითი მოვლენების და სერიოზული გვერდითი რეაქციების რეესტრის შექმნა;</p> <p>დ) მდრ-ის ეროვნული სტანდარტების განსაზღვრა და მისი მუდმივი განახლების უზრუნველყოფა სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის შესაბამისად;</p> <p>ე) ამ კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>3. კომპეტენტური უწყების ფარგლებში უნდა არსებობდეს ხარისხის მართვის სათანადო სისტემა, რომელიც მოიცავს ინსპექტირების სისტემების რეგულარულ შეფასებასაც.</p> <p>4. კომპეტენტური უწყება, მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულებებიდან/ბანკებიდან მათი საქმიანობის შესახებ მიღებული</p>	
--	--	--	--	--

		№1	39.5	<p>მონაცემების საფუძველზე, ამზადებს წლიური ანგარიშს.</p> <p>5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული წლიური ანგარიში და ერთიანი ეროვნული რეესტრის შესაბამისი, შეჯამებული მონაცემები უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.</p> <p>6. შესაბამისი კომპეტენტური უწყება ახორციელებს ინსპექტირებისა და კონტროლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიის გაცემას, ლიცენზირების სისტემის ფუნქციონირებას, ქმნის და აწარმოებს ლიცენზირებული მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულებისა/ბანკებისა და მათ მიერ განხორციელებული, მდრ-სთან დაკავშირებული იმ საქმიანობების რეესტრს, რომელზეც მათ აქვთ მინიჭებული ლიცენზია. აღნიშნული რეესტრი არის საჯარო და ხელმისაწვდომი.</p> <p>5. საქართველოს მთავრობამ და სამინისტრომ 2024 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ ამ კანონით გათვალისწინებული კომპეტენტური უწყების (უწყებების) და საჭიროების შემთხვევაში მისთვის (მათთვის) ფუნქციების განსაზღვრა.</p>		
--	--	----	------	--	--	--

	<p>2. წინამდებარე დირექტივა ხელს არ შეუშლის წევრ ქვეყანას, შეინარჩუნოს ან შემოიღოს უფრო მკაცრი დაცვის ღონისძიებები იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება [დამაფუძნებელი] შეთანხმების დებულებებს.</p> <p>კერძოდ, წევრ ქვეყანას შეუძლია დაადგინოს მოთხოვნები ნებაყოფლობითი უსასყიდლო დონაციისათვის, რომელიც მოიცავს ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების იმპორტის აკრძალვას ან შეზღუდვას, ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, იმ პირობით რომ დაცული იქნება [დამაფუძნებელი] შეთანხმების პირობები.</p>				ას	<p>2004/23/EC დირექტივის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მკაცრი დაცვის ღონისძიებები (მოთხოვნები) და აკრძალვები კანონპროექტით გათვალისწინებული არ არის, რადგან იგი არ წარმოადგენს დირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებას და შესასრულებლად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს.</p>
	<p>3. წინამდებარე დირექტივა ზემოქმედებას არ მოახდენს წევრი ქვეყნების იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც კრძალავენ ადამიანის რომელიმე კონკრეტული ტიპის ქსოვილის ან უჯრედის ან რომელიმე კონკრეტული წყაროდან მოპოვებული უჯრედების დონაციას, მოპოვებას, ტესტირებას, გადამუშავებას, პრეზერვაციას (კონსერვაციას), შენახვას, დისტრიბუციას ან გამოყენებას, მათ შორის იმ გადაწყვეტილებებზეც, რომლებიც ეხება</p>				ას	<p>2004/23/EC დირექტივის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მკაცრი დაცვის ღონისძიებები (მოთხოვნები) და აკრძალვები კანონპროექტით გათვალისწინებული არ არის, რადგან იგი არ წარმოადგენს დირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებას და</p>

	ადამიანის ქსოვილების ან უჯრედების ამავე სახის იმპორტს.					შესასრულებლად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს.
	4. წინამდებარე დირექტივით მოცული მოქმედებების განხორციელებისას, ევროკომისიას შეუძლია მიმართოს ტექნიკური ან/და ადმინისტრაციული დახმარების მიღებისათვის, ევროკომისიისა და ბენეფიციარების ორმხრივი სარგებლის მიზნით, რომელიც დაკავშირებული იქნება იდენტიფიკაციასთან, მომზადებასთან, მართვასთან, მონიტორინგთან, აუდიტსა და კონტროლთან, ასევე ფინანსური დახმარების მიღების მიზნით.				ას	დირექტივის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ეხება კომისიის უფლებამოსილებას, შესაბამისად, მისი კანონპროექტში ასახვა ვერ მოხდება.
5	1. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქსოვილებისა და უჯრედების მოპოვება და ტესტირება განხორციელებული იქნება შესაბამისი მომზადებისა და გამოცდილების მქონე პირების მიერ და რომ მათ ადგილი ექნება კომპეტენტური ორგანოს ან ორგანოების მიერ აღნიშნულისათვის აკრედიტებულ, დასახელებულ, ავტორიზებულ ან ლიცენზირებულ პირობებში.	№1	4.1	1. მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის სახეებია: პოტენციური მშობლის/მშობლების, დონორების, გესტაციური სუროგატის ტესტირება, შერჩევა, მათი (გარდა გესტაციური სუროგატისა) რეპროდუქციული უჯრედების დონაცია, მოპოვება, ტესტირება, დამუშავება, ემბრიონის შექმნა, ინ ვიტრო პირობებში კულტივაცია, ბიოფსია, გენეტიკური ტესტირება, გენეტიკური უჯრედის ან/და ემბრიონის კრიოპრეზერვაცია, შენახვა, განაწილება, სპერმის ტესტირება, დამუშავება და განაწილება, ქალის (მათ შორის, გესტაციური სუროგატის) ორგანიზმში გადატანა დაუყოვნებლივ ან სამომავლოდ	ნშ	2004/23/EC დირექტივის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, კერძოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებში

		№1	25	<p>ორსულობის მიღების მიზნით. მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობის სხვა სახეებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.</p> <p>1. მდრ-ის დაწესებულება/ბანკი შესაბამის მდრ-სთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის ლიცენზიას გაცემს შესაბამისი კომპეტენტური უწყება ამ კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.</p> <p>3. ლიცენზიის გაცემის წესი და სალიცენზიო პირობები განისაზღვრება ან კანონით და ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.</p> <p>4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისთვის სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით.</p> <p>5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.</p>	<p>(მდრ-ის ეროვნული სტანდარტების განსაზღვრის შესახებ და პერსონალის სწავლებასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ).</p> <p>გარდა ამისა, 2004/23/EC დირექტივის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
--	--	----	----	---	---

			<p>6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის ლიცენზიის მისაღებად, ლიცენზიის მამდიებელმა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, ლიცენზიის მისაღებად უნდა წარადგინოს წერილობითი ხელშეკრულება მესამე მხარესთან, როდესაც მესამე მხარე ახორციელებს საქმიანობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ რეპროდუქციული ქსოვილებისა და უჯრედების და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე.</p> <p>7. სალიცენზიო მოწმობის ფორმა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p> <p>8. შესაბამისი კომპეტენტური უწყება ლიცენზიას გასცემს, თუ დაკმაყოფილებული იქნება ამ კანონით, ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული სალიცენზიო პირობები. ლიცენზიაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის სახეობა, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულება/ბანკი არის ლიცენზირებული.</p> <p>9. შესაბამისი კომპეტენტურ უწყებას უფლება აქვს უარი განაცხადოს ლიცენზიის გაცემაზე „ლიცენზიებისა და</p>	
--	--	--	--	--

		№1	26	<p>ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად. უარი შეიძლება გასაჩივრდეს იმავე კანონით დადგენილი წესით.</p> <p>10. ლიცენზიაში ცვლილების შეტანა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით. ლიცენზიის გამცემ კომპეტენტურ უწყებას უფლება აქვს გააუქმოს გაცემული ლიცენზია, თუ სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლის ღონისძიებები ადასტურებს, რომ შესაბამისი დაწესებულება არ ასრულებს სალიცენზიო პირობებს და მას უკვე დაეკისრა პასუხისმგებლობა ჯარიმების სახით ამ კანონით და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.</p> <p>1. მდრ-სთან დაკავშირებული საქმიანობების განმახორციელებელ პერსონალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო, სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული შესაბამისი განათლება (სპეციალობა).</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პერსონალს, აგრეთვე, მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულების/ბანკის სხვა პერსონალს, რომელიც ასრულებს ამოცანებს, რომლებიც მდრ-თან საქმიანობასთან</p>	
--	--	----	----	---	--

				<p>უშუალოდ არის დაკავშირებული, უნდა გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია და უწყვეტად გადიოდეს ამ ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომების სწავლებას.</p> <p>3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ სწავლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	
		№1	4.3	<p>3. მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობები უნდა განხორციელდეს ხარისხისა და უსაფრთხოების თანამედროვე და უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბენეფიციარების ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე.</p>	
		№1	4.5	<p>5. მდრ-ის ეროვნული სტანდარტები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	
		№1	39.2. „ა“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:</p> <p>ა) ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მდრ-ის ეროვნული სტანდარტების განსაზღვრის შესახებ;</p>	
		№1	39.2. „ზ“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:</p>	

				<p>ზ) ამ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება პერსონალის სწავლებასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ;</p>		
<p>2. კომპეტენტური ორგანო ან ორგანოები მიიღებენ ყველა საჭირო ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქსოვილებისა და უჯრედების მოპოვება შეესაბამება 28(b)-ე, 28(e)-ე და 28(f)-ე მუხლებში მითითებულ მოთხოვნებს. დონორებისათვის სავალდებულო ტესტირება ჩატარდება კვალიფიცირებული ლაბორატორიის მიერ, რომელიც აკრედიტებული, დასახელებული, ავტორიზებული ან ლიცენზირებულია კომპეტენტური ორგანოს ან ორგანოების მიერ.</p>	№1	22. 3-6	<p>3. რეპროდუქციული უჯრედებისა და ემბრიონების მოპოვებამდე, მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა განახორციელოს დონორთა შერჩევა, ტესტირება და შეფასება.</p> <p>4. დონაციის მიზნით გაცემული ემბრიონების შემთხვევაში, მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა უზრუნველყოს იმ ორივე პარტნიორის შერჩევა, ტესტირება და შეფასება, რომელთა რეპროდუქციული უჯრედებიც შექმნილია ემბრიონი. აღნიშნული უნდა განხორციელდეს არაპარტნიორული ურთიერთობისათვის რეპროდუქციული უჯრედების დონორების შერჩევის, ტესტირებისა და შეფასების მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>5. დონორების ტესტირებისა და შეფასების შედეგები დოკუმენტირებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, ხოლო ნებისმიერი მნიშვნელოვანი ანომალიის შესახებ უნდა ეცნობოს დონორს.</p> <p>6. დონორების შერჩევის, ტესტირებისა და შეფასების წესი,</p>	წმ	<p>2004/23/EC დირექტივის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, კერძოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებში (მდრ-ის ეროვნული სტანდარტების განსაზღვრის შესახებ და დონორის/გესტაციური სუროგატის შერჩევის, ტესტირებისა და შეფასების წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ). გარდა ამისა, 2004/23/EC დირექტივის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული</p>	

				<p>პროცედურები და სხვა კრიტერიუმები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	
		№1	4.3	<p>3. მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობები უნდა განხორციელდეს ხარისხისა და უსაფრთხოების თანამედროვე და უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბენეფიციარების ჯანმრთელობის მაღალი დონე.</p>	<p>საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
		№1	4.5	<p>5. მდრ-ის ეროვნული სტანდარტები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p>	
		№1	39.2. „ა“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:</p> <p>ა) ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მდრ-ის ეროვნული სტანდარტების განსაზღვრის შესახებ;</p>	
		№1	39.2. „ე“	<p>2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს:</p> <p>ე) ამ კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტითა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება დონორის/გესტაციური სუროგატის შერჩევის, ტესტირებისა და შეფასების წესის და პროცედურების, დონორისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების</p>	

				წესის, ინფორმირებული თანხმობის ფორმისა და შინაარსის, თანხმობაზე უარის თქმის წესისა და პირობების და უარის ფორმის დამტკიცების შესახებ;		
6	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქსოვილის ყველა დაწესებულება, სადაც ადგილი აქვს ადამიანის მიმართ გამოყენებისათვის განკუთვნილი ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების ტესტირების, გადამუშავების, პრეზერვაციის (კონსერვაციის), შენახვის ან დისტრიბუციის მოქმედებებს, აკრედიტებული, დასახელებული, ავტორიზებული ან ლიცენზირებული იყო კომპეტენტური ორგანოს მიერ აღნიშნული მოქმედებების განსახორციელებლად.</p> <p>2. კომპეტენტური ორგანო ან ორგანოები, დაამოწმებენ რა, რომ ქსოვილის დაწესებულება აკმაყოფილებს 28(a)-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს, განახორციელებს (განახორციელებენ) ქსოვილის დაწესებულების აკრედიტაციას, დასახელებას, ავტორიზაციას ან ლიცენზირებას და მიუთითებენ, თუ რომელი მოქმედებების შესრულება შეუძლია მას [დაწესებულებას] და რომელი პირობები ვრცელდება. ორგანო ან</p>	№1	25	<p>1. მდრ-ის დაწესებულება/ბანკი შესაბამის მდრ-სთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის ლიცენზიას გაცემს შესაბამისი კომპეტენტური უწყება ამ კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.</p> <p>3. ლიცენზიის გაცემის წესი და სალიცენზიო პირობები განისაზღვრება ან კანონით და ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.</p> <p>4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისთვის სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით.</p>	ნშ	<p>2004/23/EC დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილდება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში. გარდა ამისა, 2004/23/EC დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს</p>

<p>ორგანოები განახორციელებს (განახორციელებენ) ქსოვილებისა და უჯრედების მომზადების იმ პროცესების ავტორიზაციას, რომელთა შესრულებაც ქსოვილის დაწესებულებას შეუძლია, 28(გ)-ე მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. ქსოვილის დაწესებულებებსა და მესამე მხარეებს შორის შეთანხმებები, როგორც აღნიშნული მითითებულია 24-ე მუხლში, შემოწმებული იქნება აღნიშნული პროცედურის ფარგლებში.</p> <p>3. ქსოვილის დაწესებულება არ შეიტანს რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას საკუთარ მოქმედებებში, კომპეტენტური ორგანოს ან ორგანოების წინასწარი წერილობითი თანხმობის (მოწონების) გარეშე.</p> <p>4. კომპეტენტურ ორგანოს ან ორგანოებს შეუძლია(თ) ქსოვილის დაწესებულების ან ქსოვილის ან უჯრედის მომზადების პროცესის აკრედიტაციის, დასახელების, ავტორიზაციის ან ლიცენზირების შეჩერება ან უკან გამოხმობა, თუ ინსპექტირებები ან კონტროლის დონისძიებები გამოავლენს, რომ ასეთი დაწესებულება ან პროცესი არ აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებს.</p> <p>5. ზოგიერთი კონკრეტული ქსოვილი და უჯრედი, რომელიც განსაზღვრული იქნება</p>		<p>5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.</p> <p>6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის ლიცენზიის მისაღებად, ლიცენზიის მაძიებელმა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, ლიცენზიის მისაღებად უნდა წარადგინოს წერილობითი ხელშეკრულება მესამე მხარესთან, როდესაც მესამე მხარე ახორციელებს საქმიანობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ რეპროდუქციული ქსოვილებისა და უჯრედების და ემბრიონების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე.</p> <p>7. სალიცენზიო მოწმობის ფორმა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p> <p>8. შესაბამისი კომპეტენტური უწყება ლიცენზიას გასცემს, თუ დაკმაყოფილებული იქნება ამ კანონით, ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული სალიცენზიო პირობები. ლიცენზიაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის სახეობა, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულება/ ბანკი არის ლიცენზირებული.</p>	<p>პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
--	--	--	--

	<p>28(i)-ე მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად, შესაძლებელია, კომპეტენტურ ორგანოსთან ან ორგანოებთან შეთანხმებით, დისტრიბუტირებული [გადაგზავნილი] იყოს პირდაპირ დაუყოვნებლივი გადანერგვისათვის რეციპიენტში იმ პირობით, რომ მიმწოდებელს (<i>supplier</i>) ექნება აღნიშნული მოქმედებისათვის აკრედიტაცია, დასახელება, ავტორიზაცია ან ლიცენზია.</p>	<p>№1</p>	<p>39.3</p>	<p>9. შესაბამის კომპეტენტურ უწყებას უფლება აქვს უარი განაცხადოს ლიცენზიის გაცემაზე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად. უარი შეიძლება გასაჩივრდეს იმავე კანონით დადგენილი წესით.</p> <p>10. ლიცენზიაში ცვლილების შეტანა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით. ლიცენზიის გამცემ კომპეტენტურ უწყებას უფლება აქვს გააუქმოს გაცემული ლიცენზია, თუ სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლის ღონისძიებები ადასტურებს, რომ შესაბამისი დაწესებულება არ ასრულებს სალიცენზიო პირობებს და მას უკვე დაეკისრა პასუხისმგებლობა ჯარიმების სახით ამ კანონით და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.</p>		
		<p>№1</p>	<p>39.6</p>	<p>3. საქართველოს მთავრობამ, სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.</p> <p>6. შესაბამისმა სამედიცინო დაწესებულებებმა 2024 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ ამ კანონით, აგრეთვე ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და</p>		

				<p>ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობა შესაბამისი ლიცენზიის მოპოვების გზით.</p> <p>72.¹⁰ მედიცინის დახმარებით რეპროდუქციული საქმიანობის ლიცენზია.</p> <p>№6 1 (6.72¹⁰)</p> <p>№7 1 (6.4. „ხ¹⁰“) მედიცინის დახმარებით რეპროდუქციული საქმიანობის ლიცენზია - 300 ლარი;</p> <p>№10 1.2 (143.3) 3. მედიცინის დახმარებით რეპროდუქციული საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.</p>		
7	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტური ორგანო ან ორგანოები ატარებენ ინსპექტირებებს და რომ ქსოვილის დაწესებულებები ახორციელებენ კონტროლის შესაბამის ღონისძიებებს წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა აგრეთვე უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების მოპოვების</p>	№1	33.6	<p>6. შესაბამისი კომპეტენტური უწყება ახორციელებს ინსპექტირებისა და კონტროლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიის გაცემას, ლიცენზირების სისტემის ფუნქციონირებას, ქმნის და აწარმოებს ლიცენზირებული მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულებისა/ბანკებისა და მათ მიერ განხორციელებული, მდრ-სთან დაკავშირებული იმ საქმიანობების რეესტრს, რომელზეც მათ აქვთ</p>	ნშ	<p>2004/23/EC დირექტივის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილდება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში. გარდა ამისა, 2004/23/EC დირექტივის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით</p>

<p>მიზნით განსაზღვრულია კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები.</p> <p>3. ინსპექტირებები ორგანიზებული იქნება და კონტროლის ღონისძიებები განხორციელდება კომპეტენტური ორგანოს ან ორგანოების მიერ რეგულარულად. ორ ინსპექტირებას შორის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს.</p> <p>4. ამგვარი ინსპექტირებები და კონტროლის ღონისძიებები განხორციელებული იქნება კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელი ოფიციალური უფლებამოსილი პირების მიერ, რომელთაც ექნებათ შემდეგის უფლებამოსილება:</p> <p>(a) ჩაატარონ ინსპექტირება ქსოვილის დაწესებულებებსა და მესამე მხარეების დაწესებულებებში, როგორც აღნიშნული დადგენილია 24-ე მუხლით;</p> <p>(b) შეაფასონ და დაამოწმონ ქსოვილის დაწესებულებებსა და მესამე მხარეების დაწესებულებებში მოქმედი ის პროცედურები და ის განხორციელებული მოქმედებები, რომლებიც რელევანტურია წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებისათვის;</p> <p>(c) შეამოწმონ ნებისმიერი დოკუმენტი ან სხვა ჩანაწერი, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებთან.</p>	<p>№1</p>	<p>34</p>	<p>მინიჭებული ლიცენზია. აღნიშნული რეესტრი არის საჯარო და ხელმისაწვდომი.</p> <p>1. შესაბამისი კომპეტენტური უწყება უფლებამოსილი პირების (სპეციალიზირებული ინსპექტორების) მეშვეობით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ახორციელებს მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულებების/ბანკების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს და ინსპექტირებას, აგრეთვე ამ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული მესამე მხარის დაწესებულებების ინსპექტირების ღონისძიებებს. ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების კვალიფიკაციასა და პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ინსპექტირების ჩატარების სახელმძღვანელო მითითებები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p> <p>3. შესაბამისმა კომპეტენტურმა უწყებამ უნდა უზრუნველყოს სათანადო</p>	<p>რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).</p>
---	-----------	-----------	--	--

	<p>5. ინსპექტირებებისა და საკონტროლო ღონისძიებების პირობებთან დაკავშირებით და ჩართული (რელევანტური) ოფიციალური უფლებამოსილი პირების მომზადებისა (ტრენინგისა) და კვალიფიკაციის შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციები, კომპეტენციისა და სამუშაოს შესრულების სტანდარტული დონის მიღწევის მიზნად, დადგენილი იქნება 29(2)-ე მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.</p> <p>6. კომპეტენტური ორგანო ან ორგანოები განახორციელებენ, მიზანშეწონილობისამებრ, ინსპექტირებებს და ჩაატარებენ კონტროლის ღონისძიებებს, როდესაც ადგილი ექნება რაიმე სერიოზული უარყოფით რეაქციას ან სერიოზულ უარყოფით მოვლენას. ამავდროულად, ასეთი ინსპექტირება და კონტროლის ღონისძიებები განხორციელებული იქნება სხვა წევრ ქვეყანაში კომპეტენტური ორგანოს ან ორგანოების შესაბამისად [საკმარისად] დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ნებისმიერ დროს.</p> <p>7. წევრი ქვეყნები, სხვა წევრი ქვეყნის ან ევროკომისიის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგენენ ინფორმაციას წინამდებარე</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>35</p> <p>36</p>	<p>დაწესებულების რეგულარული ინსპექტირება, რომელიც უნდა ჩატარდეს არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ, ხოლო სერიოზული გვერდითი რეაქციის ან სერიოზული გვერდითი მოვლენის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს სპეციალური შემოწმება.</p> <p>1. ინსპექტორი თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი ამ კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.</p> <p>2. ინსპექტორმა შემოწმების დროს უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობს თანახმად პროფესიულ საიდუმლოდ შეინახოს შემოწმების დროს მიღებული ინფორმაცია, განსაკუთრებით კი, პერსონალური მონაცემები და დონორებისა და რეციპიენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.</p> <p>1. ინსპექტორს უნდა ჰქონდეს ინსპექტორის ოფიციალური საიდენტიფიკაციო მოწმობა, რომელიც უნდა წარუდგინოს იმ დაწესებულებას, სადაც ინსპექტირება ხორციელდება. ინსპექტორის საიდენტიფიკაციო მოწმობის</p>		
--	--	---------------------	---------------------	--	--	--

	<p>დირექტივის მოთხოვნებთან დაკავშირებით ინსპექტირებისა და კონტროლის ზომების შედეგების შესახებ.</p>		<p>ფორმა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.</p> <p>2. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა და მესამე მხარის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ინსპექტორის მიერ ამ კანონის და სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად დაკისრებული მოვალეობების შეუფერხებლად შესრულება და ნება მისცეს მას, ჩაატაროს შენობის, აღჭურვილობის, პერსონალის საქმეების, რეპროდუქციული უჯრედებისა და ქსოვილების, ემბრიონების, სამედიცინო და სხვა ჩანაწერების შეუზღუდავი ინსპექტირება, ამ კანონის შესაბამისად.</p> <p>3. ინსპექტორი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია:</p> <p>ა) განახორციელოს მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულებებისა/ ბანკებისა და ამ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრული მესამე მხარის დაწესებულებების ინსპექტირება;</p> <p>ბ) შეამოწმონ და შეაფასონ მდრ-ის განმახორციელებელი დაწესებულებისა/ ბანკებისა და მესამე მხარის დაწესებულებების მიერ განხორციელებული საქმიანობებისა და პროცედურების შესაბამისობა ამ კანონის მოთხოვნებთან;</p>		
--	--	--	---	--	--

			<p>გ) შეისწავლოს ამ კანონის მოთხოვნებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან სხვა ჩანაწერი;</p> <p>დ) განახორციელოს ადგილზე ინსპექტირება შენობა-ნაგებობების, მოწყობილობის, აპარატურა/ ხელსაწყოების, აღჭურვილობის, მასალების და ა.შ. შემოწმების მიზნით;</p> <p>ე) შეამოწმოს ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია, აგრეთვე ყველა დოკუმენტი, რომელთა შემოწმება ინსპექტირების განხორციელებისათვის აუცილებელია, გადაიღოს მათი ასლები;</p> <p>ვ) ინსპექტირების მიზნებისთვის დააქვას ან/და ამოიღოს ნებისმიერი მასალა, ნივთი ან დოკუმენტი, აგრეთვე სივრცე, შენობა, აღჭურვილობა და სხვა საგნები, რომლითაც ხორციელდება საქმიანობა;</p> <p>ზ) მოიპოვოს მტკიცებულებები და შეაგროვოს მონაცემები ინსპექტირებულებისაგან;</p> <p>თ) დროის გარკვეული პერიოდისათვის განსაზღვროს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით ჩასატარებელი ზომები;</p> <p>ი) შესაბამისი დაწესებულების საქმიანობაში გამოვლენილი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გაატაროს სათანადო ღონისძიებები ამ დაწესებულების დაჯარიმების მიზნით,</p>	
--	--	--	--	--

			<p>საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;</p> <p>კ) თუ რეპროდუქციული უჯრედები, ქსოვილები და ემბრიონები არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხარისხის მოთხოვნებს, უზრუნველყოს მათი განაწილების შეჩერება, ხოლო უკვე განაწილებულის უკან გამოთხოვა, აგრეთვე ასეთი უჯრედების, ქსოვილების და ემბრიონების განადგურება;</p> <p>ლ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები და დაკისრებული მოვალეობები.</p> <p>4. ინსპექტორმა უნდა მოამზადოს ანგარიში ჩატარებული ინსპექტირებისა და განხორციელებული ქმედებების შესახებ, რომელიც მოიცავს ინსპექტირების დროს გაკეთებულ ყველა შესაბამის დასკვნას.</p> <p>5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ანგარიში უნდა წარედგინოს შესაბამის დაწესებულებას ინსპექტირების დასრულებიდან 30 დღის განმავლობაში.</p> <p>6. ინსპექტორმა, ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მაკორექტირებელი ღონისძიებების და ქმედებების და შესაბამისი დაწესებულების მიერ მათი განხორციელების ვადების დადგენის შესახებ.</p>		
--	--	--	--	--	--

		№1	39.2. „კ“	2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს: კ) ამ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება ინსპექტორების კვალიფიკაციასა და პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებული მოთხოვნების, ინსპექტორების ჩატარების სახელმძღვანელო მითითებების და ინსპექტორის საიდენტიფიკაციო მოწმობის ფორმის განსაზღვრის შესახებ;		
8	1. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ ტერიტორიაზე ყველა მოპოვებული, გადამუშავებული, შენახული ან დისტრიბუტირებული ქსოვილი და უჯრედი მიკვლევადია დონორიდან რეციპიენტამდე და პირიქით. აღნიშნული მიკვლევადობა ასევე გავრცელდება აღნიშნულ ქსოვილებსა და უჯრედებთან შეხებაში (კონტაქტში) მყოფ პროდუქტებსა და მასალებთან დაკავშირებულ ყველა რელევანტურ ინფორმაციაზე.	№1	30.1	1. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა უზრუნველყოს ყველა მოპოვებული, დამუშავებული, შენახული და განაწილებული რეპროდუქციული ქსოვილების, უჯრედების და ემბრიონების, ასევე, მათ შესახებ შესაბამისი მონაცემებისა და მათთან კონტაქტში მყოფი მასალების მიკვლევადობის შესაძლებლობა დონორიდან რეციპიენტამდე და პირიქით.	ნშ	2004/23/EC დირექტივის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში. გარდა ამისა, 2004/23/EC დირექტივის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა
		№1	30.4	4. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა შეინახოს სრული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად		

		№1	30.6	მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის ყველა ეტაპზე. 6. დეტალური მოთხოვნები მიკვლევადობისა და ეტიკეტირებისადმი, ასევე, შესაბამისი პროცედურები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.		და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).
		№1	39.2. „თ“	2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს: თ) ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მიკვლევადობისადმი და ეტიკეტირებისადმი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრის შესახებ;		
2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ დონორის იმ საიდენტიფიკაციო სისტემის დანერგვა (იმპლემენტაცია), რომელიც თითოეულ დონაციასა და მასთან დაკავშირებულ თითოეულ პროდუქტს უნიკალურ კოდს მიანიჭებს.	№1	7.6	6. თითოეულ დონაციურ რეპროდუქციულ უჯრედს (ან სპერმის შემთხვევაში - თითოეულ დონაციას) და ემბრიონს უნდა მიენიჭოს უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ამ უჯრედების/ემბრიონების ძირითადი მახასიათებლებისა და თვისებების შესახებ.	წმ	2004/23/EC დირექტივის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილდება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში. გარდა ამისა, 2004/23/EC დირექტივის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“	
	№1	7.8	8. რეესტრის წარმოების და მართვის წესები და პირობები, აგრეთვე მინიმალური დასაცავი ინფორმაცია, დაშვებისა და უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების წესი და პროცედურა განისაზღვრება			

		№1	39.1. „ა“	საქართველოს მთავრობის დადგენილებით. 1. საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 1 იანვრამდე მიიღოს: ა) ამ კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დადგენილება მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის ერთიანი ეროვნული რეესტრის წარმოების და მართვის წესებისა და პირობების, აგრეთვე მინიმალური დასაცავი ინფორმაციისა და უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების წესისა და პროცედურის განსაზღვრის შესახებ;		საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).
3. ყველა ქსოვილი და უჯრედი უნდა იყოს იდენტიფიცირებული ეტიკეტით, რომელიც შეიცავს 28(f)-ე და 28(h)-ე მუხლებში მითითებულ ინფორმაციას ან მითითებებს, რომელიც შეიცავს ბმულს აღნიშნულ ინფორმაციაზე.	№1	30.3	3. რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილების და ემბრიონების ეტიკეტირება უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს მათი მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და განაწილების შესახებ ინფორმაციასთან.	წმ	2004/23/EC დირექტივის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა განაწილდება როგორც კანონპროექტში, ისე სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში.	
	№1	30.6	6. დეტალური მოთხოვნები მიკვლევადობისა და ეტიკეტირებისადმი, ასევე, შესაბამისი პროცედურები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.		გარდა ამისა, 2004/23/EC დირექტივის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება	
	№1	39.2. „თ“	2. მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს: თ) ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება მიკვლევადობისადმი და			

			ეტიკეტირებისადმი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრის შესახებ;		„ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).
4. ქსოვილის დაწესებულებები შეინახავენ ყველა ეტაპზე მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად საჭირო მონაცემებს.	№1	30.4	4. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა შეინახოს სრული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად მდრ-თან დაკავშირებული საქმიანობის ყველა ეტაპზე.	ნშ	2004/23/EC დირექტივის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საკითხები, გარდა „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა, ასახული იქნება „ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და თანმდევ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში (№07-2/278/10; 26.04.2023).
	№1	30.5	5. მდრ-ის განმახორციელებელმა დაწესებულებამ/ბანკმა უნდა შეინახოს რეპროდუქციული უჯრედების, ქსოვილებისა და ემბრიონების მიკვლევადობისათვის საჭირო ინფორმაცია მათი გამოყენებიდან 30 წლის განმავლობაში, წერილობით ან ელექტრონული ფორმით.		

	<p>5. მიკვლევადობის მოთხოვნები ქსოვილებისა და უჯრედებისათვის, ასევე აღნიშნულ ქსოვილებსა და უჯრედებთან შეხებაში (კონტაქტში) მყოფი პროდუქტებისა და მასალებისათვის, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მათ ხარისხსა და უვნებლობაზე, მიღებული იქნება ევროკომისიის მიერ. აღნიშნული ღონისძიებები, რომელთა მიზანია წინამდებარე დირექტივის არააუცილებელ ელემენტებში ცვლილებების შეტანა მათთვის დამატების საშუალებით, მიღებული იქნება 29(3)-ე მუხლში მითითებული კონტროლირებული რეგულაციური პროცედურის შესაბამისად.</p>				ას	<p>2004/23/EC დირექტივის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ეხება ევროკომისიის უფლებამოსილებას, ამიტომ მისი კანონპროექტში ასახვა ვერ მოხდება.</p>
	<p>6. გაერთიანების დონეზე მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად პროცედურები დადგენილი იქნება ევროკომისიის მიერ. აღნიშნული ღონისძიებები, რომელთა მიზანია იქნება წინამდებარე დირექტივის არააუცილებელ ელემენტებში ცვლილებების შეტანა მათთვის დამატების საშუალებით, მიღებული იქნება 29(3)-ე მუხლში მითითებული კონტროლირებული რეგულაციური პროცედურის შესაბამისად.</p>				ას	<p>2004/23/EC დირექტივის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ეხება ევროკომისიის უფლებამოსილებას, ამიტომ მისი კანონპროექტში ასახვა ვერ მოხდება.</p>
9	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მესამე ქვეყნებიდან ყველა ქსოვილისა</p>				შ	<p>2004/23/EC დირექტივის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული მასალა</p>

<p>და უჯრედის იმპორტი განხორციელდება აღნიშნული მოქმედებების განსახორციელებლად აკრედიტებული, დასახელებული, ავტორიზებული ან ლიცენზირებული ქსოვილის დაწესებულებების მიერ და რომ იმპორტირებული ქსოვილები და უჯრედები შესაძლებელია იყოს მიკვლეული დონორიდან რეციპიენტამდე და პირიქით, მე-8 მუხლში მითითებული პროცედურების შესაბამისად. წევრი ქვეყნები და ქსოვილის დაწესებულებები, რომლებიც მიიღებენ აღნიშნულ იმპორტირებულ პროდუქტებს მესამე ქვეყნებიდან, უზრუნველყოფენ, რომ ისინი აკმაყოფილებენ წინამდებარე დირექტივით დადგენილი ხარისხისა და უვნებლობის სტანდარტების ექვივალენტურ სტანდარტებს.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ქსოვილისა და უჯრედის ექსპორტი მესამე ქვეყნებში განხორციელდება ქსოვილის აღნიშნული მოქმედებების განსახორციელებლად აკრედიტებული, დასახელებული, ავტორიზებული ან ლიცენზირებული დაწესებულებების მიერ. წევრი ქვეყნები, რომლებიც აღნიშნულ ექსპორტირებულ</p>				<p>კანონპროექტში ასახული არ არის, რადგან კანონპროექტი არ ითვალისწინებს რეპროდუქციული ქსოვილის ან უჯრედის იმპორტის ან ექსპორტის შესაძლებლობას (ამავე დირექტივის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანაწესიდან გამომდინარე) და შესაბამისად, იმპორტთან და ექსპორტთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებს წესს.</p>
---	--	--	--	---

